თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №1

თბილისი, 15 ივლისი, 2024

სხდომა დაიწყო 16:05 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომ – კომისია) წევრები:

- რატი ბრეგაძე – კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს იუსტიციის მინისტრი;
- თორნიკე ჭეიშვილი – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე;
- მანანა ბეგიაშვილი – კომისიის მდივანი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი;
- ალექსანდრე დარახველიძე – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- ხათუნა თოთლაძე – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;
- მიხეილ დუნდუა – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;
- გრიგოლ გიორგაძე – საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;
- ნიკოლოზ როსებაშვილი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი;
- გელა გელაძე – საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე;

- გიორგი ცაგარეიშვილი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;
- ნათია მერებაშვილი – საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე;
- ალექსანდრე ბატიაშვილი – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;
- გიორგი კვარაცხელია – სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსის პირველი მოადგილე;
- გოგი ჩიქოვანი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი;
- ნატო ზაალიშვილი – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი;
- გიორგი შარაბიძე – ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- გიორგი სანტურიანი – ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ლანა ბათლიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის მოადგილე (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე);
- მარიამ ნიშნიანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ქეთევან ბეთლემიძე – სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარე.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები:

- ბესიკ დონაძე – „ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“;
- გიორგი ხოკერაშვილი – „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა რატი ბრეგაძემ, სხდომა გახსნა 16:05 საათზე და კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მიმართვა;
2. დამსწრე კომისიის წევრების მხრიდან ინფორმაციების მოსმენა;
3. სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ პრეზენტაცია ამომრჩეველთა ერთიან სიებთან დაკავშირებით;
4. ორგანიზაციული საკითხების განხილვა (კომისიის სხდომების ჩატარების თარიღებისა და დროის განსაზღვრა);
5. სხვადასხვა.

ბატონმა რატი ბრეგაძემ ისაუბრა კომისიის მანდატის შესახებ და აღნიშნა, რომ კომისიის მიზანი საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენცია და დარღვევებზე რეაგირებაა. მან ხაზი გაუსვა იმ საერთო ლეგიტიმურ ინტერესსაც, რომ მომავალი არჩევნები ჩატარდეს რაც შეიძლება თავისუფალ რეჟიმში და დარღვევების რაოდენობა იყოს მინიმალური.

დღის წესრიგის გათვალისწინებით, კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარეს, ქალბატონ ქეთევან ბეთლემიძეს, ამომრჩეველთა ერთიანი სიების პრეზენტაციასთან დაკავშირებით.

ქალბატონი ქეთევანის განცხადებით, საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო“ ვალდებულია, საარჩევნო სიის ფორმირებისთვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წელიწადში ოთხჯერ, საარჩევნო პერიოდში – მოთხოვნის შესაბამისად, გადასცეს პოტენციურ ამომრჩეველთა მონაცემები. მონაცემთა დაზუსტების მიზნით სააგენტოს მიერ განხორციელებული აქტივობების მხრივ მან ისაუბრა ორ

ძირითად მიმართულებაზე: მონაცემთა ხარისხის მუდმივ კონტროლსა და საარჩევნო სიების სრულყოფის პროექტზე.

მონაცემთა ხარისხის მუდმივი კონტროლის კუთხით დაინერგა მონაცემთა ხარისხის მართვის სისტემა, რომლის ფარგლებშიც ყოველდღიურად მზადდება 112 ტიპის ანალიტიკური ანგარიში და დავალებები შესასრულებლად ავტომატურად ეგზავნება პასუხისმგებელ პირებს. ასევე, ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს დუბლირების თავიდან აცილებაზე; ყოველდღიურად ხდება მონაცემთა ბაზებთან დადარება და ავტომატური შედარების შედეგად დუბლირების თავიდან არიდება. ამასთან, გაციფრულებულია 10 მილიონზე მეტი სამოქალაქო აქტის ჩანაწერი, რაც იძლევა მრავალი მონაცემის ციფრულ სივრცეში დამუშავების საშუალებას. რაც შეეხება ლამინირებული პირადობის მოწმობების ID ბარათებით ჩანაცვლების საკითხს, აღსანიშნავია, რომ აქციების ფარგლებში 1 818 208 პირმა უსასყიდლოდ ან შეღავათიან ფასად მიიღო ID ბარათი.

საარჩევნო სიების სრულყოფის მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა გაორებული მონაცემების იდენტიფიცირებაზე და სიიდან ამორიცხვაზე; კერძოდ, ფოტოსაძიებო სისტემის (cognitec) გამოყენებით ერთმანეთს დადარდა ბაზაში დაცული ფოტოსურათები და მონაცემთა ბაზიდან ამოირიცხა 9 892 დუბლირებული ჩანაწერი. სავარაუდო გარდაცვლილ პირთა იდენტიფიცირების კუთხით მიმდინარეობს ბაზების ანალიზი, რომლის ფარგლებშიც წელს იდენტიფიცირებულ იქნა 7 334 პირი, რომელთაც უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში არ უსარგებლიათ სოციალური და სხვა სახელმწიფო სერვისებით. ამის შემდეგ განხორციელდა კარდაკარ/საველე სამუშაოები, ადგილზე მისვლა, გარდაცვალების ფაქტის დადასტურების შემთხვევაში ოქმების შედგენა. შედეგად, წელს დადასტურდა 1 496 გარდაცვალების ფაქტი. იურიდიული ძალის არმქონე დოკუმენტების მფლობელი პირების გამოვლენასა და პროაქტიულად ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით ქალბატონმა ქეთევანმა აღნიშნა, რომ განხორციელდა 430 500-ზე მეტი სატელეფონო ზარი და გაიგზავნა 350 400-ზე მეტი მოკლე ტექსტური შეტყობინება (sms) იმ პირებთან, რომელთა პირადობის მოწმობასაც ვადა ეწურებოდა, ან რომელთა სამოქალაქო აქტში დაფიქსირდა რაიმე ცდომილება.

ლამინირებული პირადობის მოწმობის ID ბარათებით ჩანაცვლების აქციის შესახებ მომხსენებელმა განაცხადა, რომ კანონში ცვლილებების შედეგად 2024 წლის პირველი ივლისიდან გაუქმდა 2011 წლის 28 ივლისამდე გაცემული არაელექტრონული პირადობის მოწმობები, ხოლო მანამდე, იუსტიციის მინისტრის ინიციატივით, 2024 წლის 15 მარტს

გამოცხადდა ლამინირებული პირადობის მოწმობების ID ბარათით უსასყიდლოდ ჩანაცვლების აქცია. 15 მარტის მდგომარეობით, სახეზე იყო 260 729 არაელექტრონული პირადობის მოწმობა და პირველი ივლისის მდგომარეობით გაუქმდა 137 473 არაელექტრონული პირადობის მოწმობა; 10 ივლისის მდგომარეობით, აქციით ისარგებლა 139 164-მა მოქალაქემ, ხოლო მათგან ადგილზე მომსახურება უსასყიდლოდ გაეწია 7 067 მოქალაქეს. აქციის ფარგლებში დღემდე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 12 661 696 ლარი.

სტანდარტებსა და რეგულაციებთან შესაბამისობის საკითხთან დაკავშირებით ქალბატონმა ქეთევანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო" რეგიონსა და კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყნებში ერთადერთი უწყებაა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს და, ამასთან, სერტიფიცირებულია საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების/რეგულაციების შესაბამისად.

შეჯამებისათვის მომხსენებელმა აღნიშნა, რომ, დღევანდელი მონაცემებით, სახეზეა 3 459 446 ამომრჩეველი, რომელთაგან ბიომეტრიულ დოკუმენტს ფლობს 3 459 153 მოქალაქე, ანუ 99, 99%, ხოლო ლამინირებულ პირადობის მოწმობას – 293 მოქალაქე. დარჩენილ ლამინირებული პირადობის მოწმობის მქონე მოქალაქეთა შესახებ, რომელთაც პირველი ივლისიდან გაუუქმდათ პირადობის მოწმობები, ქალბატონმა ქეთევანმა განაცხადა, რომ სააგენტოსთვის მიმართვის შემთხვევაში ისინი უსასყიდლოდ შეძლებენ ID ბარათების აღებას.

სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს" თავმჯდომარის პრეზენტაციის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომაზე დამსწრე პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს მიმართა, რომ მათ თავიანთ ამომრჩევლებს, რომელთაც ჯერ არ გამოუცვლიათ პირადობის მოწმობები, მოუწოდონ, რათა ისარგებლონ ლამინირებული პირადობის მოწმობების ID ბარათით უსასყიდლოდ ჩანაცვლების აქციით.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხთან დაკავშირებით ბატონმა რატიმ სიტყვა გადასცა ცენტრალური კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ გიორგი შარაბიძეს.

ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის პირველი სხდომის დღე შეიძლება მიჩნეულ იქნეს როგორც ათვლის წერტილი იმ უმნიშვნელოვანესი პროცესის, რომელიც მთელ ქვეყანას ელოდება და არა ცალკეულ უწყებას ან პოლიტიკურ პარტიას.

მან მადლობა გადაუხადა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ თავმჯდომარეს პრეზენტაციისათვის და აღნიშნა, რომ უკვე არაერთი წელია, ხორციელდება ეფექტური თანამშრომლობა სააგენტოსა და ცენტრალურ საარჩევნო კომისიას შორის, ვინაიდან ამ უწყებიდან მიღებული ინფორმაცია იწერება ტექნოლოგიურ გადაწყვეტაში.

ბატონი გიორგის თქმით, წელს ტექნოლოგიების საშუალებით პირველად მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას ამომრჩევლების 90%-მდე, რისთვისაც ცესკო-ს მიერ ხორციელდება არაერთი პროექტი და ღონისძიება. ივლისში ყოველ შაბათ-კვირას იმართება ტექნოლოგიების ეროვნული დემონსტრირება, სადაც, 2024 წლის 15 ივლისის მონაცემებით, დარეგისტრირებულია 58 000-ზე მეტი ამომრჩეველი. მათ საშუალება მიეცათ, წინასწარ განსაზღვრულ ლოკაციებზე დარეგისტრირებულიყვნენ, რათა თავად ენახათ, თუ როგორ მუშაობს ტექნოლოგია რეალურ ცხოვრებაში. აღინიშნა ისიც, რომ ეს არის უპრეცედენტო ინფორმირების კამპანია და მას ბადალი არ მოეპოვება მსოფლიო მასშტაბით.

ამასთანავე, ცენტრალური საარჩევნო კომისია აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა უწყებასა თუ კორპორაციასთან, სადაც საარჩევნო აპარატურით ჩატარდა დემონსტრირება, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეების ინფორმირებას არჩევნებში ტექნოლოგიური გზით ხმის მიცემის შესახებ. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, დაახლოებით, 500 000-მდე მოქალაქემ პირადად გამოსცადა ტექნოლოგია, თუ როგორ ხდება ხმის მიცემა. ბატონმა გიორგიმ გამოთქვა მზაობა, შემდგომი სხდომისთვის წარმოდგენილ იქნეს აღნიშნული აპარატურა.

როგორც ცესკო-ს წარმომადგენელმა აღნიშნა, ტექნოლოგიებით დაიფარება არჩევნების დღის 3 უმნიშვნელოვანესი ეტაპი:

1) ამომრჩევლის რეგისტრაცია/ვერიფიკაცია, სადაც რეგისტრატორი ტექნოლოგიის მეშვეობით ვერიფიკაციას უკეთებს ამომრჩეველს, მის მონაცემებს და ადგენს, არის თუ არა კონკრეტული ამომრჩეველი ფიზიკურად წარმოდგენილი;

2) ხმის მოთავსების და დათვლის ყუთი, რომელიც ციფრულად აღრიცხავს და ავტომატურად აგენერირებს შედეგებს და იძლევა კენჭის ყრის დღის ბოლოს წინასწარი შედეგების ქვითარს. აღნიშნული შედეგები მთლიანად დათვლილი იქნება ტექნოლოგიურად, რაშიც არ ფიგურირებს ადამიანური რესურსი;

3) პირდაპირ უბნიდან აისახება სერვერზე როგორც წინასწარი შედეგების ოქმები, ისე საბოლოოდ ხელით დათვლილი ოქმები. ყოველივე ზემოხსენებული საშუალებას იძლევა, უბნის დახურვიდან, მაქსიმუმ, 2 საათში ცნობილი იყოს მთელი ქვეყნის მასშტაბით წინასწარი შედეგები.

მომხსენებლის განმარტებით, ეს პროცესი არის საკმაოდ საინტერესო არა მხოლოდ გამოყენების თვალსაზრისით, არამედ საორგანიზაციო/ტექნიკური კუთხითაც. გარდა ამისა, მას შემდეგ, რაც პარლამენტმა 2022 წლის დეკემბერში მიიღო ცვლილებები, მეორე დღიდანვე ცესკო აქტიურად დგამს სხვადასხვა ღონისძიებასა თუ კამპანიასთან დაკავშირებულ ქმედით ნაბიჯებს.

ბატონმა გიორგიმ ყურადღება გაამახვილა იმ საკითხზეც, რომ ყველა ისეთ უბანზე, სადაც ხმის მიცემა ტექნოლოგიური საშუალებითაა შესაძლებელი, დათვლილი შედეგები გადაითვლება ხელით და შედარდება მანქანურ შედეგებს. ასევე, ხელით გადაითვლება საჩივრები, ოქმები და ყოველ ოლქში შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 5 უბანი. მისი თქმით, მსოფლიოს მასშტაბით, ასეთი მოდელით არჩევნები არ ტარდება და შეიძლება ვუწოდოთ „ბევრჯერ დათვლადი“ არჩევნები.

ამასთან, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ზემოხსენებული პროცედურა არ უკავშირდება ინტერნეტს და ის არ არის მოწყვლადი კიბერუსაფრთხოების საკითხების მიმართ. აღნიშნული აპარატურა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ინერგება 2018 წლიდან, მსოფლიოში ყველა საერთაშორისო ექსპერტიზის გავლით. აქვე ბატონმა გიორგიმ დამსწრე კომისიის წევრებს შესთავაზა შემდგომი სხდომისთვის პრეზენტაცია, სადაც წარმოდგენილი იქნება დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის მიერ გაცემული მიგნებები და შეფასებები ტექნოლოგიასთან მიმართებით.

ამ პროცედურის მნიშვნელობაზე ბატონმა გიორგიმ იმ მხრივაც გაამახვილა ყურადღება, რომ სწრაფად გამოცხადებული შედეგები ერთგვარად ამცირებს ეგზიტპოლებით საზოგადოებაზე მანიპულირებას. აქვე დააზუსტა ისიც, რომ ამ ნაწილში გამოყენებული იქნება ინტერნეტი – მხოლოდ VPN ქსელის მეშვეობით. როგორც მან განმარტა, დამოუკიდებელი აუდიტორული კომპანიის დასკვნის მიხედვით, პროგრამულად შეუძლებელია ინტერნეტის გარეშე ამ მონაცემების მოძრაობა. თუმცა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ ყველა შემთხვევაში ტექნოლოგიური ნაბიჯები დაზღვეულია მატერიალური/ბეჭდური სახით.

დასასრულ, მან განაცხადა, რომ ამ ეტაპისთვის საარჩევნო ადმინისტრაცია სრულად მზად არის, ჩაატაროს არჩევნები მაღალი გამოწვევების ფონზე; ხაზი გაესვა იმასაც, რომ არჩევნებთან მიმართებით საჯარო მოხელეების ინფორმირების ნაწილში ერთობლივი მუშაობით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული.

კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბატონ გიორგი შარაბიძეს მოხსენებისთვის და აღნიშნა, რომ საარჩევნო კუთხით ტექნოლოგიების გამოყენება ძალიან დიდი მიღწევაა. ამასთან, დაეთანხმა ბატონი გიორგის ინიციატივას, შემდგომი სხდომისთვის წარმოედგინა აპარატურა, რათა ყველა დაინტერესებული პირს ჰქონდეს შესაძლებლობა, გაეცნოს მის მუშაობას და მიიღოს თეორიული თუ პრაქტიკული ინფორმაცია გამოყენების შესახებ.

კომისიის წევრებს კითხვებით მიმართა ბატონმა ბესიკ დონაძემ („ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“), რომლებიც შეეხებოდა კომისიის სხდომის ჩატარების პერიოდულობას, საკონსულო აღრიცხვაზე მოქალაქეთა აყვანას და შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში მის მიერ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოძიებას. შესაბამისი უწყებების წარმომადგენლებმა უპასუხეს დასმულ შეკითხვებს და კითხვის ავტორს შესთავაზეს კომისიის სამდივნოსთვის წერილობითი ინფორმაციის მიწოდება. ამასთანავე, აღნიშნეს, რომ კითხვები თავისი შინაარსით სცილდებოდა კომისიის მანდატს, არ მიეკუთვნებოდა კომისიის მიერ განსახილველ საკითხებს და კომისიის სამდივნოსთვის მიწოდებული ინფორმაციის შესწავლის შემდგომ კითხვის ავტორს კომისიის კომპეტენციის ფარგლებში მიეწოდებოდა დამატებითი ინფორმაცია.

კომისიის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება კომისიის მანდატზე და აღნიშნა, რომ კომისიის მიზანია, საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების პრევენციისა და გამოვლენილ დარღვევებზე რეაგირების გზით ხელი შეუწყოს თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს შექმნას. კომისია განიხილავს საკითხებს, რომლებიც უკავშირდება საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან მიმართებით მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იმ დარღვევების შესახებ ინფორმაციას, რომელთაც კომისიას აწვდიან პოლიტიკური გაერთიანებები (საარჩევნო სუბიექტები) ან დამკვირვებელი ორგანიზაციები.

ბატონმა გიორგი ხოკერაშვილმა („საქართველოს ევროპელი დემოკრატები“) აღნიშნა, რომ ძალიან დიდი დაინტერესებაა 2024 წლის არჩევნებთან მიმართებით; ცესკო-ს მიერ ტექნოლოგიური

გზით არჩევნების ჩატარების მნიშვნელობასთან დაკავშირებით კი, აღნიშნა, რომ ამ უწყების მიერ გატარებული ღონისძიებები შთამბეჭდავია, რაც ქმნის არჩევნების ეფექტურად და სამართლიანად ჩატარების მოლოდინებს; ყოველივე ეს გამორიცხავს უზუსტობას და შეფერხებებს. როგორც თავად მიაჩნია, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის მუშაობა მნიშვნელოვანი იქნება უშუალოდ არჩევნების სამართლიანად წარმართვისთვის, რაც ხელს შეუწყობს საარჩევნო პროცესში სხვადასხვა სახის დარღვევის პრევენციას. მან მადლობა გადაუხადა კომისიას და როგორც აღნიშნა, შემდგომი სხდომები მეტად უფრო საინტერესო იქნება.

დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს კომისიის მუშაობაში ჩართვისთვის.

სხდომა დასრულდა 17:00 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე: რატი ბრეგაძე

კომისიის მდივანი: მანანა ბეგიაშვილი